ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1226125

ნომერი: AR1212938

თარიღი : 16.04.2014

გაცემის თარიღი : 17.04.2014

გაცნობის თარიღი : 22.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოდერძი გოდერძიშვილი პ/ნ 01012013612
- თბილისი ვაზისუბნის II"ა" მ/რ კორ. 27 ბ. 90

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 16 აპრილის AR1212938 განცხადება, რომლითაც ითხოთ #01.72.14.032.600 მიწის ნაკვეთზე სოფისე, სასაწყობო შენობა–ნაგებობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი #01.72.14.032.600) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5 (სზ–5)–ში, საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები.
ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,5;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=2,1;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0,1.

სამსახურის მიერ #01.72.14.032.600 საკადასტრო ერთეულზე და მის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე #01.72.14.032.598 და #01.72.14.032.599 მომზადებულია #331989 (31.08.2012) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ავტოსერვისის განსათავსებლად. შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემოაღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობებით და საკითხი განსახილველად დააყენოთ აღნიშნული ქალაქმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანაზე, სადაც მოხდება დამატება ახალი ობიექტის (სოფისე, სასაწყობო შენობა–ნაგებობა), ან მოახდინოთ გაპში ცვლილება #01.72.14.032.600 საკადასტრო ერთეულის ამოღების მიზნით და სამსახური გასცემს ახალ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთზე სოფისე, სასაწყობო შენობა–ნაგებობაზე. ამისათვის საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან #331989 (31.08.2012) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების განმცხადებლის თანხმობა. ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნებების მონაცემები განაცხადის თანაგანცხადებლის ველში.

.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 7 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 16 აპრილს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 5 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.